ცნობის ფურცელი

№ 2049 პარასკევი, 24 იანვარი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2049

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 37

მიიღება ხელის მოწერა **1903** წლისათვის

ყოველ დღიურ გაზეთ

„ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ

(წელიწადი მერვე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიასა და რუსეთში:	საზღვარ-გარედ:
1 წლით—6 მანეთი.	1 წლით—9 მ.

წლიურ ფასის განაწილება: ხელის-მოწერისათანავე 4 მან., დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალ

„მოამბე“-ზე

(წელიწადი მეათე)

ფასი ჟურნალისა

კავკასიასა და რუსეთში:	საზღვარ-გარედ:
1 წლით—10 მ., 6 თვით—6 მ. 3 თვით—3 მ.	1 წლით—13 მ., 6 თვით—7 მ., 3 თვით—5 მ.

ვინც „მოამბეს“ მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატებანი** და **„ცნობის ფურცელი“** უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მან., რომელიც ხელის-მოწერისთანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

წლიურ ფასის განაწილება: პირველად—6 მ. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ., 1-ლ აგვისტომდე დანარჩენი.

როგორც „ცნობის ფურცლის“, ისე „მოამბის“ ხელის-მომწერთ პრემიად გაეგზავნებათ

შოთა რუსთაველის

ახალი სურათი,

წიგნ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის საფოტოტიპიოში დამზადებული. სურათი ზომით 9×12 ვერშოკი იქმნება. ქალაქ გარედ ხელის მომწერთ 30 კაპეიკი უნდა წარმოუდგინონ რედაქციას სურათის გასაგზავნად. ეს სურათი ცალკე 1 მან. 50 კაპ. ეღირება.

ამა 1903 წელს „მოამბე“-ში, სხვათა შორის, დაიბეჭდება რუსთა შესანიშნავ მწერლის ლ. ნ. ტოლსტოის რომანის „ვოინა ი მირ“-ის თარგმანი, „რომის ისტორია“ და სხვა.

რედაქცია და **კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. **ტელეფონი № 372.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели“.

იასონ ლუარსაბის ძე, ლუარსაბ ზაქიას ძე, ირინე ზენარიონის ასული გეგელაშვილნი, ექვთიმე და დესპინე ალექსანდრეს ასული ჭიჭინაძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ განსვენებულის

ოლღა ექვთიმეს ასულის გეგელაშვილის

სულის მოსახსენებლად წლის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქმნება ქუთაისს, მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში, კვირას, 26 იანვარს. (1—1)

მასაჟის კურსები

გედევანოვის საავადმყოფოში

ასწავლიან შემდეგ საგნებს:

მასაჟი და გიმნასტიკა ავადმყოფობისა, (ტეხნიკა-ჩვენებანი) **და საზოგადო პათოლოგია:** დ—რი სობოლევსკი. **ანატომია,** დ—რი ა. გ. მალალაშვილი; **ფიზიოლოგია** დ—რი ე. გ. ფედოროვი.

სწავლა დაიწყება 10 თებერვლიდან. **ფასი კურსებისა 30 მან.** კურსებზე ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე, დილის 9 საათიდან 2 საათამდე. (8—6)

ტფილისის
კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

მ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 9—10 საათამდე.

ა. გ. მალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. კამოევი.—საშარდე (ხირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათი 11½—12½.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 კვირაობით 10—11.

ა. ზ. ბარხუდოვი—ქალთა სნეულებანი, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ბრ. ძ. [illegible]—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მალალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.).

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა“, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 6 ს.—8 საათ. საღამოს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანეთიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საკინაშვილისა, № 21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში). ტელეფონი № 274 (წ.)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—3-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. **ტელეფონი 642**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აუწყებს საპრემიოდ წარმოდგენილ პიესების ავტორებს, რომ **არც ერთი პიესა არ იქმნა პრემიით დაჯილდოვებული** და დღეიდან ორის თვის განმავლობაში ავტორებს შეუძლიანთ მოიკითხონ, და უკანვე მიიღონ პიესები ყოველ დღე დილის 11 დან 1 საათამდე; უნდა მიჰმართონ საზოგადოების კონტორაში ადმინისტრატორს ბ. ნახუცრიშვილს. (3—1)

წარმოდგენა მე-32. ტელეფონი 617

✦ **იაფ-ფასიანი წარმოდგენა** ✦

ქართული თეატრი

კვირას, 26 იანვარს. 1903 წელს

✡ **საღამოს იაფ-ფასიანი წარმოდგენა** ✡

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

✦ **დაკლებულის ფასებით** ✦

ორი ახალი პიესა

I

მსხვერპლი ფუხსიათობისა

დრამა 4 მოქ. ან. ჩეხოვის პიესიდან Ивановъ-იდან გადმოქართულებული კ. ნასიძის მიერ.

II

სულ ამ ცხვირის ბრალი!

ვოდევილი 1 მოქ. გადმოკ. ი. ივანიძის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ბ. რიონელი, ელ. ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, ქლენტი და სხ.

ადგილების ფასი დაკლებულია

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: „ნორა“, „ჩაფეხილი ხიდი“, „დარღვეული ყური“. და სხვ.

რეჟისორი **ვალ. გუნია**

საზღვარ-გარედ

—

ინგლისი. კოლონიების მინისტრი ჩემბერლენი ტრანსვაალის სოფლების სანახავად წასულა. 11 იანვარს ჩემბერლენი ვენტერსდორფში წავიდა. ვენტერსდორფი ორმოცი მილის მანძილზე მდებარეობს პოტჩეფსტრომიდან, მეფკინგის გზაზე. ჩემბერლენი ფურგუნით მიდიოდა. ფურგუნში ჯორები ება. გზა და გზა მოსჩანდა მრავალი ფერმა, ომის დროს დამწვარი. ვენტერსდორფის წინ რამდენიმე მილის მანძილზე ჩემბერლენს ცხენოსან ბურების რაზმი დაუხვდა და მინისტრი ვინსტერდორფამდე მიაცილეს. ვინსტერდორფში ჩემბერლენს დელარეი მოეგება და მისასალმებელი ადრესი ჩააბარა. კოლონიების მინისტრმა პასუხად უთხრა ბურებს: მოხარული ვარ, რომ ტრანსვაალის სოფლების მდგომარეობას ცოტაოდენად მაინც გავიცნობ, რადგან კოლონიების კეთილდღეობა მარტო მრეწველობისაგან კი არა, სოფლის მეურნეობისაგანაცაა დამოკიდებული. მერე მინისტრმა უთხრა ბურებს: მომილოცავს, რომ მამაცს და ქველ დელარეის უფროსობის ქვეშ იბრძოდით. იმედი მაქვს, ეხლა შემიძლიან დელარეი ჩემ მეგობრად ჩავსთვალო (დელარეიმ თავი დაუკრა ღიმილით). ჩვენ ცხელი ბრძოლა გამოვიარეთ, ეხლა კი დავმეგობრდეთ. ბურები ისეთივე თავისუფალი ხალხი იქნებიან, როგორიც იყვნენ. იმათი კეთილდღეობა კი უფრო გაძლიერდება ახალის წესების წყალობითაო.

✦ ამას წინად ლიდსში თავისუფალ ეკკლესიების მღვდლებმა და მრევლმა კონფერენცია მოახდინეს და მოილაპარაკეს, რა ტაქტიკას დავადგეთ ახალ სასკოლო რეფორმის შემდეგაო. კრებამ დაადგინა: თავისუფალ ეკკლესიის მრევლს ურჩიოთ სასკოლო გადასახადს ნულარ გადაიხდისო. ლიდსში ეხლავე ლიგა დაუაარსებიათ იმ აზრით, რომ სასკოლო გადასახადის მიცემაზე უარი განაცხადონ. ამ ლიგაში მაშინვე ას კაცამდე ჩაწერილან.

საფრანგეთი. ნაციონალისტებმა პირველისავე შემთხვევით ისარგებლეს და ჟორესს პროტესტი გამოუცხადეს. წარსულ ორშაბათს ნაციონალისტმა დეპუტატმა გოტიე დე-კლანიმ წინადადება შეიტანა: ვინც 1870 წელს სამშობლოს იცავდა და დაიღუპა, ყველას ძეგლი დავუდგათ პარიზში და ამით პროტესტი გამოვუცხადოთ „ზოგიერთ პირებსაო“. სოციალისტმა ჟერო რიშარმა დაუყვირა გოტიეს: „თქვენ ეხლა მეორედ დაიხსენით სამშობლოო“. (უკიდურესი მარცხენა პარტია იცინის). როცა გოტიემ ეს წინადადება შეიტანა, მარჯვენა პარტიამ ტაშის-ცემა ასტეხა. პალატამ გადასწყვიტა, გოტიეს წინადადება კომისიას გადავცეთო.

✦ 13 იანვარს დეპუტატთა პალატა სარწმუნოების ბიუჯეტის განხილვას შეუდგა, ესე იგი სამღვდელოებისათვის დანიშნულ ხარჯის განხილვა დაიწყო. საბიუჯეტო კომისიამ შარშანდელ კომისიის წინააღმდეგ ის აზრი გამოსთქვა, რომ სარწმუნოების ბიუჯეტი უნდა დავტოვოთო. ეს ყველამ იცოდა წინადვე, იცოდნენ აგრეთვე ისიც, რომ ვალდეკ-რუსსოსა და სხვა თავის წინამორბედებსავით, კომბიც წინააღმდეგია ამ ბიუჯეტის მოსპობისა და უკიდურეს მარცხენა პარტიას არ ეთანხმება ამ საქმეში. ამიტომ მოელოდნენ, რომ ბიუჯეტის თაობაზე უფერული, ჩვეულებრივი კამათი გაიმართებოდა, მაგრამ სულ სხვა გამოვიდა და 13 იანვარს ისეთი მნიშვნელოვანი და საყურადღებო სხდომა მოხდა, რომ ჯერ ამისთანა სხდომა კომბის სამინისტროს დროს სულ არ მომხდარა. ამისი მიზეზი ის იყო, რომ პირველ მინისტრმა სულ სხვა კილოზე ილაპარაკა და თავისი მომხრეები მთლად გააკვირვა.

კამათი სოციალისტმა დეპუტატმა ალიარმა დაიწყო. ალიარმა წინადადება შეიტანა: სარწმუნოების ბიუჯეტი მოისპოს და ეკლესია სახელმწიფოსაგან განცალკევდესო. პირველმა მინისტრმა კომბმა ალიარის წინადადების წინააღმდეგ ილაპარაკა და ამტკიცებდა, მაგ წინადადების ასრულება შეუძლებელიაო. კომბმა სთქვა:

„პალატამ რომ სარწმუნოების ბიუჯეტი მოსპოს, ამით ქვეყანას ააშფოთებს, ხალხს თავის წინააღმდეგ აალელვებს და რესპუბლიკას დიდ გაჭირვებაში ჩააგდებს... (მარცხენა პარტია ძლიერ პროტესტს აცხადებს). ერთის კალმის მოსმით 14 საუკუნეს ვერ ამოვშლით. წინადვე უნდა ვიცოდეთ, თუ გაუქმებულის მაგიერ რას დავაწესებთ... (სიტყვას აწყვეტინებენ და უყვირიან: „არაფერს“) არა მგონია, რომ თანამედროვე საზოგადოება იოლად წავიდეს იმ უბრალო ზნეობრივის მასალით, რომელსაც ზერე-ქვერედ ასწავლიან ჩვენებურს სკოლებში (ცენტრი ტაშს უკრავს); იმ სარწმუნოებრივ აზრებს, რა აზრებსაც ეკკლესია ავრცელებს, ჯერ საჭიროდა ვსთვლი... (მარცხენა პარტია პროტესტს აცხადებს). ძალიან მოწადინებული ვარ, რომ კაცობრიობა მხოლოდ გონიერებაზე დამყარებულ თავისუფალ აზრით მოქმედებდეს, მაგრამ საამისო დრო ჯერ არ მოსულა... (სოციალისტები სიტყვას აწყვეტინებენ კომბსა და უსაყვედურებენ, აზრები გამოგიცვლიაო). სრულებითაც არ შემიცვლია აზრები, მაგრამ პალატის უმეტესობას კი, მგონია, რომ თავისი აზრები შეუცვლია. მე აკი გამოვაცხადე სენატში, რომ სპირიტუალისტურ ფილოსო

ფიის მიმდევარი ვარ და სარწმუნოებრივი იდეია კაცობრიობის უძლიერესს ძალად მიმაჩნია მეთქი... (მარცხენა მხარეს საყვედური ისმის). რესპუბლიკელი უმეტესობა კარგად მიცნობდა, როცა სამინისტროს მეთაურად მირჩევდა. თუ კი უმეტესობას აღარ მოვწონვარ პირველ მინისტრად, საკმაოა ერთი სიტყვა სთქვას“... (პალატა ჰღელავს).

სოციალისტმა დეპუტატმა სემბამ გამოაცხადა თავის პარტიის სახელით, პირველ-მინისტრის ნალაპარაკევი ჭკუაში არ მოუვიდა სოციალისტების პარტიას და ჩემი პარტია კენჭის ყრის დროს სარწმუნოების ბიუჯეტის მოსპობას მიემხრობაო. საბიუჯეტო კომისიის მომხსენებელმა მორის ბერტომაც გამოაცხადა, სარწმუნოების ბიუჯეტის მოსპობას მივემხრობი მეცაო. ბერტომ სთქვა: „თუმცა საბიუჯეტო კომისიამაც სარწმუნოების ბიუჯეტის დატოვება გადასწყვიტა, მაგრამ ამ საქმეში სულ სხვა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა და არა იმით, რითაც პირველი მინისტრი ხელმძღვანელობს“.

ამის შემდეგ კიდევ რამდენმამე ორატორმა ილაპარაკა და შემდეგ პალატამ 328 ხმის უმეტესობით 201 წინააღმდეგ უარ-ჰყო წინადადება სარწმუნოების ბიუჯეტის გაუქმებაზე.

მთავრობას ამ კენჭის ყრის დროს მხარი მისცეს მარჯვენა პარტიამ, დემოკრატიულმა კავშირმა და თითო ოროლა რადიკალმა. 30-მდე რადიკალს კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიუღია, იმათ შორის მინისტრს პელტანსაც. მთავრობის წინააღმდეგნი იყვნენ: სოციალისტები, რადიკალ-სოციალისტები და რადიკალების ნაწილი.

ასე რომ მთავრობამ მარტო მარჯვენა პარტიის და მელინისტების შემწეობით გაიმარჯვა. ამ საქმემ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა რესპუბლიკელებზე.

გაზეთი „ლანტერნ“-ი ამბობს: „კომბმა სულ მოულოდნელად შეაქო სარწმუნოებრივი სკოლა და პალატას არწმუნებდა, ღრმად პატივსა ვსცემ ამ სკოლასაო. აქამდე რესპუბლიკელი პარტია ძლიერ ენდობოდა კომბსა, როგორც ასოციაციების კანონის ამსრულებელს. ეხლა კი პირველ მინისტრის საოცარმა განცხადებამ ერთის დაკვრით მოსპო ეს ნდობა. კომბს მარცხენა პარტიის მაგიერ, მარჯვენა პარტიამ დაუჭირა მხარი რაც უნდა ძლიერ ეცადოს ამას იქით, მაინც რესპუბლიკელები უნდოთ დაუწყებენ ცქერას“. პრესანსეც ამასვე ამბობს „ორორ“-ში და უმატებს, კომბი დიდხანს ველარ დარჩება პირველ მინისტრადაო. „რადიკალ“-ი ამბობს: „კომბის სიტყვა გაუგებარი და გასაოცარი სიტყვაა; იმედი გვაქვს, თითონაც მოინანიებს თავის ნათქვამს და რესპუბლიკელ პარტიას აუხსნის, თუ რისთვის მოიქცა ასე უცნაურად“.

ახალი ამბავი

◆ ორშაბათის დადგენილება ტფილისის საბჭოსი **სახელოსნო სასწავლებლის გამგე კომიტეტის** შესახებ ქალაქის მოურავის მოადგილემ გუშინ გუბერნატორს წარუდგინა.

◆ ოთხშაბათს, 22 იანვარს, კრება ჰქონდათ ტფილისის **მოქალაქეთა რწმუნებულებს**. კრებას უნდა განეხილა თავმჯდომარის ი. ბუღდანოვის მიერ შედგენილი ხარჯთ-აღრიცხვა, მაგრამ არც ერთი მუხლი-კი არ განუხილავს, რადგან იგი უხეიროდ იყო შედგენილი. კამათმა ღამის 12 საათამდე გასტანა. ბოლოს კრებამ გადასწყვიტა, დაავალოს მოქალაქეთა გამგეობას ორის კვირის განმავლობაში შეიმუშაოს ხარჯთ-აღრიცხვა და წარმოუდგინოს რწმუნებულთ.

◆ ტფილისის მცხოვრებ **მკვიდრ-ებრაელთ** სათხოვარი მიუციათ გუბერნატორისათვის, ნება მოგვეცით ხელის მოწერით ფული შევკრიბოთ და ჩვენთვის ცალკე თორა ავიშენოთო. ტფილისის გუბერნატორს ამისი ნება დაურთავს ებრაელებისთვის, მხოლოდ ტფილისის გუბერნიაში და ისიც ერთის წლით და თანაც პოლიცმეისტერისთვის დაუვალებია: გამოუცხადეთ მკვიდრ-ებრაელთ, თავიანთი თავი ქართველ-ებრაელებად არ გამოაცხადონ შემდეგში, პირდა-პირ იწოდებოდნენ ადგილობრივ მკვიდრ-ებრაელებადაო.

◆ კავკასიის შინა-მრეწველობის კომიტეტმა **პეტერბურგიდან მიიღო მოწმობანი** იმ მრეწველთათვის დასარიგებლად, რომელთა ნაწარმოებიც პეტერბურგის შინა-მრეწველობის გამოფენაზე დააჯილდოვეს.

◆ ოთხშაბათს, 22 იანვარს, **ხორცის და პურის** ნიხრის გამწესებელ კომისიას კრება ჰქონდა. კომისიამ, სხვათა შორის, თავმჯდომარედ აირჩია თავ. ნ. ე. არღუთინსკი-დოლგორუკოვი.

◆ ტფილისის გუბერნატორს გაუგზავნია პოლიცმეისტერისათვის **ხე-ტყის მასალის საწყობისა** და ქარხნების გამართვისა და შენახვის შესახებ პროექტი სავალდებულო დადგენილებათა და შეჰკითხებია, თქვენი აზრი მაცნობეთ ამის შესახებაო. პოლიცმეისტერს პროექტი უნაკლულოდ უცვნია, მხოლოდ სთხოვს გუბერნატორს სავალდებულოდ გამხადეთ, ვისაც საწყობისა თუ ქარხნის გამართვა უნდოდეს, ამის თაობაზე ჯერ პოლიცმეისტერს შეეკითხოს, რადგან პოლიციის მოვალეობაა ცეცხლის საწინააღმდეგო საშუალებათა მიღებაო.

◆ **ბელნულაში რაღაც ავადმყოფობა გაჩნდა.** ამის გამოსაკვლევად და საშუალებათა აღმოსაჩენად ტფილისის მაზრის ექიმი ბ-ნი კლიაჩინი და საგუბერნიო ექიმის თანაშემწე ბ-ნი ბროძელი წავიდნენ აღბულაღს.

◆ ხუნაგის გავრცელების შესახებ ქალაქში შემდეგი ცნობები გადმოგვცეს: წარსულ წლის ოქტომბერში ავად გამხდარა 31, რომელთაგან 25 ქალაქის საავადმყოფოში მიუბარებიათ სამკურნალოდ და 6-ც თავის ბინაზე დარჩენილა; ნოემბერში—38, აქედან 23 საავადმყოფოში წასულა, 15-ც ბინაზე დარჩენილა. დეკემბერში 43—საავადმყოფოში წასულა 33, ბინაზე დარჩენილა 10; ამ იანვრის 18 რიცხვამდე ავად გამხდარა 24, აქედან 15 საავადმყოფოში წაიყვანენ და 9 ც ბინაზე. სულ ოქტომბრის თვიდან ავად გამხდარა 112.

ქალაქის სასანიტარო-საქმეთა ინსპექტორს უთხოვნია გამგეობის მთავრობისათვის: ის მოსწავლე, რომლის ოჯახში ხუნაგია, სასწავლებელში არ მიუშვათ, თუ ექიმისაგან მოწმობა არ წარმოადგინოთ, რომ მოსწავლეს უშიშრად შეუძლია სასწავლებელში სიარულიო. კერძო ექიმებს ვისაც მიუმართავს სასანიტარო ინსპექტორს, ეტყოდეთ ყოველს საეჭვო შემთხვევის დროს, ფურთხი ლაბორატორიაში გამოაკვლევინონ, ხუნაგი არ იყოს.

◆ გუშინ, 23 იანვარს, ტფილისის ოლქის სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი იმ საქმის გამო, რომლითაც ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოხელეს დავით გრიგორიევს ყალბ თამასუქების შედგენა ბრალდებოდა. სასამართლომ დამნაშავედ იცნო გრიგორიევი და გადაუწყვიტა უფლებისავე განსაკუთრებულ უფლების ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 4 წლით გაგზავნა.

◆ სახალხო სცენის მოყვარენი სახალხო თეატრში აფხაზის ქუჩაზე ხვალ, 25 იანვარს, წარმოადგენენ ვ. გუნიას კომედიას „ძალა აღმართსა ხნავს“.

◆ გუბერნატორს მოუთხოვია ქალაქის გამგეობისაგან, გამგეობის წარსული წლის მოქმედების ორი ცალი ანგარიში წარმოუდგინოს— ერთი მთავარ-მართებლისათვის და მეორე სამინისტროში გასაგზავნად.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ დიდის თოვლის გამო ნათლიღების შემდეგ ქალაქსა და სოფლებს შორის შეწყვეტილია ყოველ გვარი მიმოსვლა. ქუჩებზე $1\frac{1}{2}$ არშინზე მეტი თოვლია. მოგზაურობა მარხილებითა და ეტლებითაც შეუძლებელია. იყო რამდენიმე შემთხვევა, რომ მოქალაქე კინაღამ გამოეთხოვა სიცოცხლეს. ქალაქის მოურავმა, როგორც გადმოგვცეს, განიზრახა ზოგიერთ ზომების მიღება და შეეკითხა კიდეც ინჟინრებს, მაგრამ მათ უპასუხეს, რომ სულ უკანასკნელი 12,000 მანეთია საჭირო რომ გაიწმინდოს ქუჩებიო. ასეთი თოვლი იყო 1895—96 წელს, მაგრამ მაშინ ქუჩების გაწმენდაში ადგილობრივ ჯარსა, სახლის პატრონებსა და მეეტლე-მეტაჩკეებს მიიღებინეს მონაწილეობა. სასურველია ეხლაც ამ გვარად მოაწყონ საქმე.

◆ ქუთაისის დედათა საეპარქიო სასწავლებელში ცუდის ამინდებისა და უგზოობის გამო შეწყვეტილ იქმნა სწავლა.

◆ ქუთაისის სამეურნეო საჭიროებათა კომიტეტის უკანასკნელ კრებაზე დადგენილ იქმნა დაარსდეს ქუთაისის გუბერნიაში ერთი საშუალო და რამდენიმე დაბალი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი.

◆ იმავე კომიტეტმა 16 იანვარს დაადგინა იშუამდგომლონ მთავრობის წინაშე, რომ ქუთაისის გუბერნიაში არ იქმნეს შემოღებული ღვინისა და მაგარის სასმელების მონოპოლია, რომელიც ფინანსთა სამინისტროს განძრახვა აქვს შემოიღოს 1905 წლიდან.

ადგილობრივ გაზეთებში გუშინ მოთავსებული იყო ამბავი ჩვენის ქუთათურის კორესპონდენტის მოქმედებით შეურაცხყოფის შესახებ. ეს ამბავი კიდევ ერთი უტყუარი საბუთია იმისა, თუ რა ღატაკნი არიან სულით ის კაცუნები, რომელნიც შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს ოპპოზიციის ლიდერებად სთვლიან თავიანთ თავს. მათი უბადრუკობა და უსუსურობა ყველა თვალ-ხილულისათვის ცხადი იყო. საქმის არ ცოდნა, საშუალებათა გაურჩევლობა, ქვეშ-ქვეშური მოქმედება—აი ის იარაღი, რომლითაც გამობრძანდნენ ეს ვაჟ-ბატონები ბრძოლის ველზე. ეს მათი სილატაკე მალე გამომჟღავნდა და უტყუარად დამტკიცდა კრებაზე. რაღა საკვირველია, რომ ისინი შეიპყრო უძლურმა გაბრაზებამ და ჩაადენინა ყოვლად უღირსი და დასაგმობი საქციელი.

მერე ვინ ბრძანდება თვით „გმირი“ ამგვარის უხამსის საქციელისა? ეს ის იოსებ კაკაბაძე ბრძანდება, რომელიც რამდენისამე დღის წინად ნიანგის ცრემლებსა ჰღვრიდა პრესის შევიწროებისა და შეურაცხყოფის გამო! ეს ის იოსებ კაკაბაძეა, რომელსაც ენაზე მუდამ ევროპა და ევროპის კულტურა აკრავს და ვითომ ძალმომრეობას ებრძვის! ეს ის იოსებ კაკაბაძეა, რომელსაც პროგრესისტთა წარმომადგენლად მოაქვს თავი და სინათლის შეტანას თხოულობს ყველა საქმეში!

მერე ვისა წვდა ამ ვაჟ-ბატონის შერცხვენილი ხელი? ვინც-კი თვალ-ყურს ადევნებს ჭიათურელთა კრების ანგარიშებს და ბოროტებით სრულიად დაბრმავებული არ არის, მისთვის ცხადია, რომ ჩვენი კორრესპონდენტი სრულიად მიუდგომელ და კეთილ სინიდისიერ ანგარიშებს ადგენს; ერთნაირის ბეჯითობით უთმობს ადგილს საბჭოს მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა ნალაპარაკევსაც; მის ანგარიშებში განძრახ შეურაცხყოფა კაკაბაძისა არა ყოფილა, ხოლო თუ იმ ანგარიშებით ვიწრო შუბლიან კაცუნების უსუსურობა მტკიცდება, ეს ჩვენის კორესპონდენტის ბრალი როგორ იქნება?!

მრეწველთა კრებას საერთოდ ბოდიში მოუხდია ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლების წინაშე კაკაბაძის ყოვლად უმსგავსო საქციელის გამო. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყოველი პატიოსანი ადამიანი შეუერთდება კრებას და ზიზღით მოიხსენიებს იმ ვაჟბატონს, რომელსაც უძლურ გაბრაზების გამო უკეთესი ვერაფერი მოუფიქრია და მუშტი-კრივისთვის მიუმართავს.

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა მეხუთე კრება

18 იანვრის სხდომა

კრებას მოხსენდა ვაგონებისა და პლატფორმების ანგარიში. რადგან კომიტეტის განკარგულებაში პლატფორმა ცოტა იყო, ის იძულებული იყო სასტიკად მოპყრობოდა მრეწველთ და ხშირად უბრალო ფორმის დარღვევის გამოც უარს ეუბნებოდა მთხოვნელს; ხანდახან პლატფორმებს ნაწილ-ნაწილადაც უთმობდა მრეწველთ, რაც ხშირად უსიამოვნებას იწვევდა. თვით პლატფორმები მოუწყობელია და შავი ქვის დატვირთვა მეტად გაძნელებულია, ნამეტურ ავდრიან დღეებში, როდესაც პლატფორმებთან მისვლაც-კი თითქმის შეუძლებელია. ვაგონების განაწილების წეს-რიგს კომიტეტი მეტად უხერხულადა სთვლის. გარდა ამისა, თვით რკინის გზის მოხელენიც სხვადა-სხვა გვარ დაბრკოლებას უჩენენ მრეწველთ და ამასთანავე სრულიად ყურადღებაში არ იღებენ მათ წარმომადგენელთა ჩივილსა და შენიშვნებს. კომიტეტი საჭიროდ სთვლის შემცირებულ იქმნას ჭიათურის რკინის გზის სამგზავრო ტარიფი და ბილეთები ყველა სადგურზე იყიდებოდეს.

კომიტეტის მოხსენების პასუხად რკინის გზის მმართველობის წარმომადგენელმა ბ. **სოლოვიოვმა** სთქვა შემდეგი: პლატფორმებისა და ვაგონების ნაკლებობა ადვილი ასახსნელია, თუ გავიხსენებთ, რომ ბოლო ხანში მეტად იმატა მრეწველთა და შავი-ქვის გამგზავნელთა რიცხვმა. რკინის გზამ ვაგონების რიცხვი ახლა გააძლიერა და მრეწველთათვის საკმარისი იქნებოდა, რომ ისინი წინდაწინვე ატყობინებდნენ რკინის გზას, როდის და რამდენი ვაგონი სჭირიათ. რაც შეეხება პლატფორმების ცუდ მდგომარეობას, ამის მიზეზი ის არის, რომ ჭიათურა ავსილია შავი-ქვით; ქუჩები, არხები, ყოველი თავისუფალი ადგილი მოფენილია შავი-ქვით და ყოვლად შეუძლებელია სიწმინდე იქმნეს დაცული. სამგზავრო ტარიფი ჭიათურის გზაზე საზოგადო წესისა და კანონის ძალით არსებობს, ასე რომ მისი შემცირება კანონმდებლობის ძალით შეიძლება მხოლოდ. დასასრულ ბ. სოლოვიოვმა აღნიშნა, რომ განმანაწილებელს კომიტეტს არასოდეს აბუჩად არ აუგდია მრეწველთა წარმომადგენელნი და ყოველთვის ყურადღებით ეპყრობოდა მათ შენიშვნებსო.

თავ. დუმანიძე: კარგი იქნება ვიშუამდგომლოთ, რომ მრეწველთ ნება ჰქონდეთ საქონლის მატარებლითაც იმოგზაურონ.

ინჟ. სოლოვიოვი: რკინის გზის წესით, შეიძლება ყოველ სამგზავრო მატარებელს საქონლის ვაგონი მიემატოს. თუ მრეწველთ ჰსურთ, ამის წინააღმდეგ რკინის გზის მმართველობა არასოდეს არ იქმნება.

ბ. ფ. ზედგინიძე: საჭიროა, რკინის გზის მმართველობისა და მრეწველთა შორის ურთიერთობის გამო დადგენილებანი გარკვევით იქმნას შედგენილი, თორემ შესაძლებელია მათ აღსრულებას ვერ ვეღირსოთ. ყველა იმ ნაკლულევანებათა შესახებ, რომელნიც კომიტეტმა აღნიშნა, საბჭოს არა ერთხელ აღუძრავს შუამდგომლობა, მაგრამ ისინი უყურადღებოდ იქმნენ დატოვებულნი.

შემდეგ, კრებაზე წაკითხულ იქმნა ინჟ. სოლოვიოვის მეტად საყურადღებო მოხსენება ვაგონების განაწილებისავე შესახებ. მოხსენებისათვის კრებამ მადლობა გადაუხადა ბ. სოლოვიოვს, ხოლო აღძრულ საგნის შესახებ დადგენილებათა მოხდენა შემდეგ სხდომამდე გადადვა.

კრებას მოხსენდა პროგრამის მე-4 მუხლი: შეძენა ადგილებისა, რომელნიც საჭიროა კრების საბჭოს შენობათა ასაგებად. მცირეოდენის კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა ამ ადგილების შეძენის უფლება საბჭოს მიეცეს.

სხდომის დასასრულ კრებას მოხსენდა ბრაზილიაში გაგზავნილ ინჟინრის, გ. დეკანოზიშვილის, წერილი ბრაზილიის შავი-ქვის მრეწველობის მდგომარეობის შესახებ. ბ. დეკანოზიშვილი იწერება, რომ ავადმყოფობის გამო არ შემიძლია ვრცელის მოხსენების გამოგზავნაო. მოკლედ კი ბ. დეკანოზიშვილი შემდეგს იტყობინება: ბრაზილიის შავი-ქვის მადნები ჭიათურისაზე მდიდარნი არ არიან; მადნები ეკუთვნის სხვა და-სხვა სააქციონერო საზოგადოებათა და ამხანაგობათ; შავი ქვის ამოღება აქ უფრო ძვირი ჯდება, მინამ ჩვენში; გზები აქაც ცუდია და შავი-ქვის გადაზიდვა აგრეთვე ძნელია. ბ. დეკანოზიშვილის ცნობებით, ბრაზილიაში შავი-ქვის მრეწველობა არა-თუ მატულობს, კლებულობს კიდეც; მრეწველობის სტატისტიკა არ არსებობს; ყოველ მადანთან მუშებისათვის განსაკუთრებული სახლებია აგებული. კუნძულ კუბის შავი-ქვის მადნების შესახებ ბ. დეკანოზიშვილი იწერება, რომ ისინი ჯერ შეუსწავლელი და გამოუკვლეველიაო; მრეწველობა იქ მხოლოდ ახლა იწყება და ჯერჯერობით წელიწადში 300 ათას ფუთამდე ქვას ამზადებენ გასაზიდავათო.

20 იანვარი

კრების დაწყებისას ხანგრძლივი კამათი გამოიწვია ოქმებმა. ზოგიერთებმა განაცხადეს, ჩვენი სიტყვები სავსებით არ არის მოყვანილიო. ზოგმა ურჩია კრებას, თვით ორატორებმა დასწერონ ხოლმე თავიანთი ნალაპარაკევი და გადასცენ მდივანსო. ბოლოს, როგორც იქმნა, დაამტკიცეს წინა კრების ოქმები

შემდეგ კრება შეუდგა პროგრამის მე-17 მუხლის განხილვას. ეს მუხლი შეეხება რკინის გზით შავის-ქვის გადაზიდვის გაუმჯობესების საქმეს. მოხსენება ამ მუხლის შესახებ წაიკითხა ბ-ნმა ემერიკმა. მომხსენებელმა ერთხელ კიდევ აღნიშნა ის გაჭირვება, რომელიც შავის-ქვის მრეწველთ ადგია რკინის გზებისაგან. ვერ არის საქმე რიგიანად

ეროვნული

მოწყობილი განსაკუთრებით ქიათურის შტოზე. ემერიკი თხოულობს ამ შტოზედაც ისეთი წესები და პირობანი შემოიღონ, როგორიც სხვა გზებსა და შტოებზეა. შემდეგ მომხსენებელი დიდ ყურადღებას აქცევს შავი-ქვით ვაგონების დატვირთვას. ეხლანდელი წესი დატვირთვისა, იმის აზრით, საზარალოა არა მარტო შავი-ქვის გამგზავნელთათვის, არამედ თვით რკინის გზისათვისაც. მომხსენებელი თხოულობს აგრეთვე შუამდგომლობა აღიძრეს, რომ ვაგონები მსურველთ ზარათებით მიეცეთ და გათანასწორებულ იქმნას სადგურთან მიწის იჯარის ფასი შავის ქვის საწყობებისათვის ქიათურასა და ფოთში. მოხსენების ბოლოში ავტორი ამბობს, თუ ვინიცობაა ამ მოხსენებაში აღნიშნული თხოვნები არ შეიწყნარეს სათანადო დაწესებულებებმა, შუამდგომლობა აღიძრეს მიწათ მოქმედების სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ ამ საგნების განსახილველად შესდგეს განსაკუთრებული კომისია, რომელშიაც იქმნებიან წარმომადგენელნი: სამთო გამგეობისა, ფინანსთა და გზათა სამინისტროებისა, ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობისა, შავის-ქვის მრეწველთა კრებისა და ფოთის სანავთსადგურო გამგეობისა.

როდესაც ამ მოხსენების გამო კამათი გაიმართა, ერთი საყურადღებო გარემოება გამოირკვა. თურმე ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობა ხშირად აგვიანებს სამინისტროს მიერ შეწყნარებულ შუამდგომლობათა აღსრულებას მწარმოებლებმა სთხოვეს სამინისტროს, ნება მიეცა რომ თითო ვაგონით ზედ მეტი 16 ფუთი გაიგზავნოს ხოლმე. სამინისტროს, როგორც სოლოვიოვმა განაცხადა, შეუწყნარებია და 20 დეკემბერს კიდეც უცნობებია რკინის გზის გამგეობისათვის, მაგრამ ამ უკანასკნელს დღემდე შავის-ქვის გამგზავნელთათვის არ შეუტყობინებია ეს ამბავი. თავ. ჰ. წულუკიძემ ურჩია კრებას ემერიკის მოხსენებასთან ერთად მოეწყოს ფოთში მექანიკური მანქანები ვაგონებიდან გემებზე შავის-ქვის გადასატვირთავად. დღეს სტვირთავენ შავ-ქვას მუშები. თავ. წულუკიძის აზრით, ეს მანქანები დაუჯდება კრებას 18000 მანეთამდე. ხანგრძლივ კამათის შემდეგ კრებამ მიიღო ემერიკის მოხსენება და უარ-ჰყო თავ. წულუკიძის წინადადება, რადგან გამოირკვა, რომ ამ გვარ მანქანების მოწყობას ფოთში ფოთის ქალაქის თვით-მმართველობა შესდგომია თურმე.

შემდეგ, კრებამ დაადგინა შედგენილ იქმნას ახალი წესდება ვაგონებისა და ბაქნების გამწეს რიგებელ კომიტეტისთვის და წარედგინოს იგი დასამტკიცებლად მთავრობას.

კრება გადავიდა მე-21 მუხლზე, რომელიც შეეხება ნაფიც მწონავთა ინსტიტუტს. ამ საგნის შესახებ მოხსენება წაიკითხა გ. ცერცვაძემ. მოხსენებაში დაწვრილებით აღნიშნულია მწონავთა ბოროტებანი: ათას უწესოებას სჩადიან თურმე ისინი და ატყუებენ ყველას. ეგრედ წოდებულ „სკიდკითაც" სარგებლობენ და გაცილებით იმაზე მეტს ართმევენ, რაც ერთხელვე მიღებულია. ბ-ნ ცერცვაძის აზრით, „სკიდკა" სულ უნდა მოისპოს ეხლა, როდესაც ქვა ვაგონით გადააქვთ და არა ურმით.

ამ მოხსენებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. სთქვეს, რომ კანტროლერები უნდა დაინიშნონ. ზოგმა საჭიროდ სცნო, მწონავთა ბოროტ-მოქმედების მოსასპობად, თვით-აწონ ან ავტომატიურ სასწორების შემოღება.

ბევრი ილაპარაკეს, მაგრამ ეს საგანი მაინც ვერ გადასწყვიტეს და მეორე დღისათვის გადასდეს.

ტფილისის «მამათა» დარბაზიდან

22 იანვარს ქალაქის საბჭოს სხდომას დაესწრო 35-მდე ხმოსანი. დაწყებისას ხმ. სვენიკოვმა გამოაცხადა, იქმნება გამგეობას არაფერი გაუგია ქალაქის მიწის მითვისების შესახებ და თუ იცის, საჭიროა განგვიმარტოს როგორ მოხდა ეს. პოლიციის მე-10 ნაწილში ყარდისუბანის ქუჩის ერთი ნაწილი ვიღაცას შეუკრავს; წინად ოთხი-ხუთი ეტლი ერთად გაივლიდა, ეხლა-კი კაცსაც გაუჭირდება გავლა. აგვიხსენით, ვინ ზაიდინა ესათ? გამგეობის წევრის ენფიანჯიანცის პასუხიდან გამოირკვა, რომ ამას წინად ივ. ს. ჟორდანოვს ნებართვა უთხოვია გამგეობისაგან შენობის გასაფართოებლად. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ჟორდანოვს ამ ნებართვით უსარგებლია და ქალაქის ადგილი შემოუღობავს; პოლიციას ოქმი შეუდგენია და საჩივარი იქმნება აღძრული იჟორდანოვის წინააღმდეგ. შემდეგ ხმ. სულხანოვმა მოითხოვა განმარტება, რა მდგომარეობაშია ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილება ქალაქის „ობოზის" მოწყობის შესახებათ. თავ. გ. ნ. ჩერქეზიშვილმა მოაგონა ხმოსანს, რომ თუმცა საბჭომ გადასწყვიტა განსაკუთრებულ გადასახადის შემოღება „ობოზის" არტელის გასამართავად, მაგრამ საგუბერნიო მთავრობამ არ დაამტკიცა და გვარხია განსაკუთრებული შუამდგომლობა აღვძარით. შუამდგომლობა დიდი ხანია გავგზავნეთ, მაგრამ პასუხი არ მიგვიღიათ. დანარჩენი დრო საბჭომ მოანდომა ლომბარდის მიმდინარე წლის ხარჯთ აღრიცხვის განხილვას. ლომბარდის მოსამსახურეთა შესანახად უნდა გადადებულ იქმნას 9480 მან. 1480 მეტი წასულ წელზე. გამგეობასა და საფინანსო კომისიას საჭიროდ დაუნახავს მეტის ფულის გადადება წელს, რომ ლომბარდისათვის განსაკუთრებული არტელი იქმნას მოწვეული. ამასთანავე საჭიროდ დაუნახავთ კასირის თანაშემწისა და ლომბარდის გამგეს კანდიდატის თანამდებობათა მოსპობა, ისე კი რომ გამგეს კანდიდატობას იმავე დროს ლომბარდის კასირი ასრულებდესო. ხარჯთ-აღრიცხვის მომატებამ დიდი კამათი გამოიწვია. დიდხანს ილაპარაკა ხმ. სულხანოვმა. თავ. ნ. გ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა წაიკითხა მოხსენება, რომელშიაც დაწვრილებითი ცნობები იყო რუსეთის ლომბარდების შესახებ. იქ გაცილებით დიდ თანხას ახარჯავენ თურმე და ლომბარდის მოხელეთა შესანახად კი ნაკლები იხარჯება, ვიდრე ტფილისში. დასასრულ ხმოსანმა განაცხადა, შეუძლებელია რაიმე ხარჯის მომატებაო. ბევრის ლაპარაკის შემდეგ თავმჯდომარემ საქმე გამორკვეულად სცნო. საბჭომ გადასწყვიტა მოწვეულ იქმნეს ქალაქის ლომბარდში არტელი, რისთვისაც გადაიდო 1840 მანეთი. გამგეს ჯამაგირად წელს უნდა მიეცეს 1800 მან., კასირს 1200 მან., უფროს ბუხჰალტერს 1000 მან. და სხვ. კასირი დარჩება იმ დრომდე, ვიდრე არტელი დაიწყებს მოქმედებას.

სახოფლო მეურნეობის საჭიროებათა საგუბერნიო კომიტეტში

22 იანვარს კომიტეტმა გუბერნატორის თავმჯდომარეობით განაგრძო განხილვა პირველ სექციის მოხსენების იმ ნაწილისა, რომელიც სახალხო განათლებას შეეხება. კამათის დროს წევრთ, სხვათა შორის, გამოსთქვეს ის აზრი, რომ ადგილობრივი ინტელიგენცია, სხვა-და-სხვა პირობებისა გამო, დაშორებულია სახალხო განათლების საქმეს, ხოლო სასურველი კია ინტელიგენტებს შეძლება მიეცეთ თავიანთი ცოდნა ხალხის განათლების საქმეს მოახმარონო. კომიტეტმა ყურადღება მიაქცია დედათა განათლებასაც. კამათი გამოიწვია აგრეთვე იმ აზრმა, რომ ბევრ სკოლას ჯეროვნად მომზადებული მასწავლებელი არა ჰყავს. ბევრი მასწავლებელი გაურბის სკოლას. ამიტომ საჭიროა ყურადღება მიექცეს მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესებას. და ბარემ აღძრეს შემდეგ იმაზე, რომ ტფილისის გუბერნიის საერობო თანხიდან დღეს ცოტა ფული იხარჯება სახალხო განათლებისათვის. საჭიროდ სცნეს საერობო თანხის ყოველ წლიურ ხარჯთ აღრიცხვაში ცალკე აღინიშნოს ის ფული, რაც სწავლა-განათლებისათვის არის საჭირო, რომ სამოსწავლო ოლქს ყოველთვის შუამდგომლობის აღძვრა არ დასჭირდეს. კარგა ხანს კამათის შემდეგ კრებამ გადასწყვიტა: 1) აღძრას შუამდგომლობა, რომ ადგილობრივ ინტელიგენციას მეტი უფლება მიეცეს სახალხო საქმეში ჩარევისა: ნება მიეცეს კრებები გამართოს, სკოლები დააარსოს, დახმარება გაუწიოს და სხვა; 2) აღძრას შუამდგომლობა, რომ საერობო თანხიდან გადაიდვას ფული დედათა სახალხო სკოლების დასაარსებლად; 3) საერობო თანხის ხარჯთ-აღრიცხვაში ყოველ-წლივ აღინიშნოს ცალკე ფული სწავლა-განათლებისათვის; 4) აღძრას შუამდგომლობა, რომ სოფელში ფული სახალხო სკოლისათვის ადმინისტრაციამ მოჰკრიბოს საერობო გადასახადთან ერთად და ეს ფული პირდაპირ ხაზინაში გაიგზავნოს, ამასთან, რადგან მასწავლებელი ხშირად ორსა და სამ თვეს ვერ იღებს ჯამაგირს, საჭირო-ხაზინამ ყოველ თვიურად გაიღოს ხარჯი, იმისდა მიუხედავად, ფული შეკრებილია თუ არა; 5) დაარსებულ იქნას ტფილისის გუბერნიაში გამსესხებელი კასა, საიდანაც სესხად უნდა მიეცეთ ფული იმ საზოგადოებებს, რომელნიც სკოლის შენობას აგებას მოისურვებენ; სესხი საზოგადოებებმა ნაწილ ნაწილ უნდა გადაიხადონ; 6) აღიძრას შუამდგომლობა, რომ ნება დართულ იქმნას, სახალხო სკოლებთან წიგნთსაცავები, საკვირაო სკოლები და კურსები ისე მოეწყოს, რომ სკოლას გარეშე დარჩენილ მოზარდ თაობას და გლეხებს შეეძლოთ წერა-კითხვის შესწავლა, სხვა-და-სხვა ცოდნის შეძენა და საზოგადოდ გონების განვითარება; 7) აღიძრას შუამდგომლობა, რომ გაუმჯობესდეს სახალხო სკოლების მასწავლებელთა ქონებრივი და ზნეობრივი მდგომარეობა და 8) აღიძრას შუამდგომლობა, რომ ამიერ-კავკასიის სასტატო სემინარია (გორში) გაფართოებულ იქმნას ან დაარსდეს მეორე სემინარია.

წერილი სიღნაღიდან

საქონლის გაჭირვება.—ძარცვა- გლეჯა.—
ციმბირიდან გამოქცეული

ვერ იქნა, ქიზიყმა უბედურებას ვერ დააღწია თავი. ორი წელიწადია, რაც აქ საქონლის ჭირი მძვინვარებს, საქონელი გაანადგურა და რაც ჭირს გადარჩა, ის ბეთლების ბრძანებას ვეღარ გადაურჩა და თითქმის ცულმა მოსპო. თუმცა დახოცილ საქონელში ფულს დაურიგებენ, მაგრამ ჯერ ერთი—როდის იქნება და მეორე—როცა იქნება კიდეც, ვეჭვობთ, ხალხმა ამ ფულით ისევ საქონელი იყიდოს. ისეც ძალიან გული აიცრუა ხალხმა საქონელზედ ამ ახალ მომატებულ გადასახადის შემდეგ და შეიძლება მალე ქიზიყი საქონელს სულაც გამოესალმოს. ახლა, იანვარში, აუარებელი თოვლი მოვიდა. გზები, ორღობეები დაჭყვარა და მისვლა-მოსვლა მოსპო. ამითი ძალიან შეიწროვდა ხალხი, მაგრამ ამას ვინ იჩივლებდა, რომ მინდვრიდან არა სასიამოვნო ამბები არ მოდიოდეს. თოვლმა საქონელი გომურებში დაამწყვდია და უსმელ-უჭმელობით შეაწუხა. მსხვილი საქონელი კიდევ უძლებს, მაგრამ ცხვარი მოუმწყვდა ფარეხებში და იხოცება. თოვლი, როგორც იყო, გადიდო, გზები გაკვალეს, მაგრამ ზედ ქარი ამოვარდა, თოვლი გაჭინა, ძალზედ აცივდა და ყოვლად შეუძლებელი გახდა ცხვრის გარედ გამოყვანა. შეჯგუფებული ცხვარი, უსმელ-უჭმელობით სწყდება და დიდი ზარალი მოსდით პატრონთ. მით უფრო საზარალო და საშიშია ეს, რომ სწორედ ახლა არის ცხვრის დოლის (მოგების) დრო. ასეთივე ამბები მოდის შირაქიდან, სადაც აუარებელი ცხვარია. ამ დღეებში ერთი თუში ვნახე, მწყემსი, რომელიც ცრემლიანის თვალებით გვიამბობდა ცხვრის ზარალს.

ამ ავდარმა ქურდ-ბაცაცობა და ავი ბოროტმოქმედი ხალხიც შეაჩერა დროებით. მაგრამ რადაც გულმა უგრძნოთ და ქრისტეშობისთვეშიც იყარეს ჯავრი. მარტო ვაქირში რამდენიმე საბძელ-კალო, სათივე და თამბაქო დასწვეს. ანაგაში ამისთანაებს თვლა არა აქვს. სხვაგანაც ასეთი ამბები ხდება. მარტო სოფ. ტიბაანში ერთი გლეხი რამდენსამე ავკაცობას აღგვიწერს თავის საჩივარში. მაგრამ ყველა ამ ავკაცობას ერთმა ბოროტ-მოქმედებამ გადააჭარბა. რამდენსამე კაცს ცხენები დაუპარავთ და რაკი ვეღარ მოუსწრიათ მათი გაყიდვა, მიუყვანიათ და ტყეში ხეებზე ჩამოუხრჩვიათ. აი, ასეთი საზიზღარი და დაუჯერებელი ამბები ხდება და პატრონი კი არავინ არის. ისინი, რომელნიც მოვალენი არიან და მოწვეულნიც ავკაცობის მოსასპობათ, სხვა საქმეებს უნდებიან.

იანვრის თოთხმეტში სამაზრო დარაჯებმა დაიჭირეს სოფ. ქედელში ციმბირიდან გამოქცეული მიხა ჯუჯულაშვილი. ეს ჯუჯულაშვილი სოფლის განაჩენით იყო გაგზავნილი ციმბირში, საიდანაც რამდენისამე თვის შემდეგ დაბრუნდა და ეს მეორე წელიწადია ქიზიყში ტრიალებდა. ეხლა ვიღაცას ეთქვა დარაჯებისათვის, ჯუჯულაშვილი ამა და ამ ოჯახში ქეიფობსო. წავიდნენ დარაჯნი, შევიდნენ სახლში და მართლაც ნახეს ქეიფში გართობილი ჯუჯულაშვილი. ამ სადილზე ბევრი ხალხი იყო თურმე. რაკი ნებით არ დანებდათ ჯუჯულაშვილი, დარაჯებს იარაღი ეხმარნათ და ერთი მკლავი სულ მოუმტვრიათ. დაჭრილი ჯუჯულაშვილი სიღნაღში მოიყვანეს და დააპატიმრეს.

პროვინციელი

დაბა-სოფლები

ძირაგეული (რაჭა). შემოდგომის გამუდმებულმა წვიმებმა და შემდეგ თოვამ გაჩინა მეწყრები. იანვრის პირველში შემდეგი უბედურება მოხდა. ორის ვერსის სიშორიდან დაიძრა დედა-მიწა, წამოვიდა მეწყერი, დაეჯახა გლეხის გიორგი ჭელიძის და გიორგი გველეთიანის სახლებს, აჭყარა ორივე გლეხი და ძალიან დააზარალა ხუთი სხვა გლეხი, გველეთიანები. მეწყერმა ერთმანეთში აურ-დაურია ყანა-ვენახი, ტყე და მინდორი, და ორის ვერსის მანძილზე საფოსტო გზამდის ჩაიტანა. ამავე დღეს სოფელ სადმელში მეწყერმა დიდი ზარალი მისცა გლეხებს ჩიტაძეებს და სხვებს: აჭყარა რამდენიმე გლეხი და სხვებიც დღე - დღეზე ელოდებიან სახლ-კარის დანგრევას; ერთის სიტყვით, კაცი ვერ ასწერს იმ უბედურებას, რაც ზემოხსენებულ გლეხებს ახალ-წელიწად დღეს დაატყდათ.

რაჭაში ერთ არშინზე თოვლი სძევს და კიდევ მოდის; თოვლისა და მეწყრებისაგან გზები შეკრულია და ქუთაისიდან ონამდე ფოსტას მიმოსვლა უჭირს.

ჩვენს სოფლებში ძალიან გახშირდა ქურდობა; იპარავენ ცხენებს, ხარებს და სხვა შინაურს პირუტყვს. მამასახლისს და იმის თანაშემწეებს-კი ტკბილადა სძინავთ და ყურსაც არ იბერტყავენ ქურდობის აღმოსაჩენად.

გამუდმებულის მოუსავლიანის წლებისა გამო რაჭაში ძლიერ გაძვირდა როგორც სურსათი, ისე საქონლის საკვები. მცხოვრებნი ძლიერ დაღონებულნი არიან. შესჩივიან ერთმანეთს და არ იციან, როგორ ირჩინონ თავი და ან პირუტყვი რით გამოჰკვებონ ამ დიდ ზამთარში.

სვიმონ ბოჭორიშვილი.

პასუხი „კვალს"

(წერილი რედაქციის მიმართ)

„კვალის" მე-3 ნომერში ბბ. ი. მარჯვანიძე და გარეშე მეთვალყურე სხვებს უკიჟინებენ „თავაზიანობის უქონლობასა" და „აულაგმავ ლანძღვა-გინებას", და თავისი თავი კი დაივიწყებიათ. ვინც „კვალის„ მე-3 ნომერი წაიკითხა, ადვილათ მიხვდება, რამდენათაც თავაზიანია ბ-ნის გარეშე მეთვალყურის ლექსიკონი, მაგალითათ ამისთანა სიტყვები: „დღევანდელი საბჭოს სრული ზნეობრივი და გონებრივი სიკოტრე", „აულაგმავს უტიფრობის გზას დადგომია", „აღარაფერი აქვს გარდა გაბედული ურცხვობისაო" და სხვ. და სხვ.

მერე რაზე ამყარებს ბ-ნი გარეშე მეთვალყურე თავის დასკვნებს იმისთანა ფაქიზი საკითხის შესახებ, როგორიც არის ადამიანის პიროვნების შელახვა? ამის საფუძვლათ მაღალ ზნეობიან კვალისტს საკმაოთ დაუნახავს სარევიზიო კომისიის მოხსენება. არა გვგონია, რომ ბ-ნი გარეშე მეთვალყურე მართლა გარეშე მეთვალყურე იყოს, და არა წინდაწინვე ვნებითა და ჯიბრით გულამღვრეული ადამიანი, თვარა მარტო სარევიზიო კომისიის მოხსენების წაკითხვას არ იკმარებდა და სულწასულათ არ გამოაქვეყნებდა ამ მართლაცდა აულაგმავ ლანძღვა-გინებას, არამედ დიდსულოვნურათ მოისმენდა მეორე მხრის, ე. ი. მრეწველთა საბჭოს, პასუხს—და მხოლოდ მაშინ წარმოსთქვამდა თავის მიუდგომელ აზრს...

14-ისა და 15 იანვრის სხდომაზე ცხადათ დამტკიცდა, რომ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე და წევრნი, სააგიტაციო მიზნით აღჭურვილნი, ფარულათ ადგენდენ თავის მოხსენებას, ფარულათ დაბეჭდეს ეს მოხსენება ბათომში (თუმცა ეს საბჭოს საქმე იყო, და არა მათი) და ფარულათვე ურიგებდენ თავის მომხრეებს, რათა აგიტაცია გაეწიათ ბ-ნი ზდანოვიჩის წინააღმდეგ და მთელი საბჭოსთვის ჩირქი მოეცხოთ; სარევიზიო კომისიას თავისი მოხსენება მხოლოდ კრების გახსნის წინადღით გადაუცია საბჭოსთვის, იმ განზრახვით, რომ საბჭო მოუმზადებელი ყოფილიყო მისი პასუხისათვის.

ნუთუ ყველა ეს არ ამტკიცებს იმას, რომ სარევიზიო კომისია სიმართლის ძიებით კი არ ყოფილა აღფრთოვანებული, არამედ საგიტაციო ხრიკებითა და საქვენაო განზრახვებით?!...

და ამისთანა პირთ მხარს უჭერს „კვალის" რედაქცია და მიწასთან ასწორებს მოღვაწეს, რომელსაც მთელი თავისი ძალა და ღონე შეულევია საზოგადო საქმისთვის!... ცხადათ ჩანს, რომ „კვალის" რედაქცია მოწადინებულია—გამოაღვიძოს კალისტრატიზმის ეს ერთი ხანია მისუსტებული ვნებათა ღელვა და მით კვლავ ააცუროს ქუთათური ქართველობა ძმა-ძმის მტრობისა და გარყვნილობის მორევში.

ნუთუ ამას ეძახის „კვალის„ რედაქცია „ხალხის" სამსახურს?!

დასასრულ ორი სიტყვა ბ-ნს ი. მარჯანიძეს უნდა უძღვნა მისი შენიშვნის გამო. პერიოდული გამოცემის ერთ-ერთ მოვალეობას ისიც შეადგენს, რომ ახალი წიგნი გაარჩიოს და მისი ღირსება და ნაკლულევანება დაანახოს მკითხველებს; ამის მაგიერ „კვალმა" თავის საახალწლო ფელეტონში უსაბუთებოთ, ცარიელი სიტყვით დაგმო ჩემი ახალი წიგნი („ცხოვრების სურათები"). მე ეს გარემოება ვუსაყვედურე რედაქციას, ღ. ბ. მარჯანიძე კი მოყოლია და ენას მიწუნებს. მე ვსწერ: „პირველი დღიდან", ბ. მარჯანიძე კი ვითომ მისწორებს ფრჩხილებში: „პირვლ დღიდან" უნდაო! მე იმ ფორმებს ვხმარობ, რომელიც ხანგრძლივ დაკვირვებასა და კვლევას შემდეგ შევითვისე; ჩვენს მწერლობაში ბევრნაირათ იხმარება: „**პირველის** დღიდან (დღითგან, დღიდგან), **პირველი** დღიდან, **პირველ** დღიდან, და მე ვამტკიცებ, რომ ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში ზედსართავ სახელებში ი უნდა დარჩეს მეთქი (**პირველი** დღის, **პირველი** დღით) *), და თუ ჩემი მოსაზრება არ მოგწონთ, საფუძვლები წარმოადგინეთ, თვარა ფრჩხილებითა და გაკვირვების ნიშნებით არაფერი გასწორდება.—„კბენით დაწყება და კბენით გათავება"—რა მშვენიერებაა! მეც იმას მოგახსენებთ, რომ კბენა და ისიც უსაფუძვლოთ—სისაძაგლეა მეთქი, და ნუთუ არა გწამთ?!..

მე ყოველთვის იმ ფორმებს ვხმარობ, რომელიც ერთხელვე შევიმუშავე და შევითვისე, და „კვალში" კი დომხალივით არის არეული სხვა-და-სხვა ფორმები. აი თვით მარჯანიძე რამდენ ფორმას ხმარობს თავის წერილში („კვალი" № 3): **თითოეულის ნომრის, წარსულის წლის, ყოველ-დღიურ გამოცემის, მთელი კვირის** და სხვა-და-სხვ. ასე არევა შეიძლება?! ან რა მაგალითის თვალია. იმავე წერილში ამისთანა ქართული: **რანმეს, ვიყვნეთ, მიაღწია** (უნდა: **რამმე, ვიყოთ, მიაწია**) და სხვ.?! ამისთანა მწერალი ქართული ენის შესახებ უნდა მსჯელობდეს?!

მოვაგონებ ბ.ბ. **გარეშე მეთვალყურეს, ი. მარჯანიძეს** და „კვალის" მთელ რედაქციას სალვთო წერილის სიტყვებს: „ანუ რასა ხედავ ბეწვსა თვალსა შინა ძმისა შენისასა, და დვირესა თვალსა შინა შენსა არა განიცდი"?!.

ხიდოთვანი.

ქუთ. 1903 წ. 15 იანვარს.

წერილი რედაქციის მიმართ

მოწყალეო ხელმწიფევ, ბატონო რედაქტორო! გთხოვთ დაგვიბეჭდოთ შემდეგი: „ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოებამ გამართა 14 დეკემბერს 1902 წ. ქართულ-სომხური წარმოდგენა სამოქალაქო კლუბის დარბაზში. შემოსავალი იყო 255 მ. 70 კაპ., დახარჯა 68 მ. 48 კ. წმინდა შემოსავალი დარჩა 187 მ. 22 კ. საზოგადოება უღრმეს მადლობას სწირავს არტისტებს და ყველა იმათ, ვინც თავისი შრომით ხელი შეუწყო წარმოდგენის გამართვას".

თავმჯდომარე **მ. გამრეკელიძე**

მდივანი **ა. ყიფშიძე.**

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 იანვარი.

პეტერბურგი. 21 იანვარს მათ იმპერატორებითი უდიდებულესობათ მეორე ბალი გამართეს საზამთრო სასახლეში.

22 იანვარს გარდაიცვალა კიევისა და გალიცკის მიტროპოლიტი თეოგნოსტი.

პარიზი. კარაკასიდან მოსულის ამბით, აჯანყებულთა მეთაურის მათოსის ჯარი კიდევ დამარცხდა, 200 კაცი ტყვედ წაიყვანეს, რომელთაგან 50 ოფიცერია.

კარაკასი. დამარცხება კამატაგუასთან იყო. მთავრობის ჯარებს წინამძღვრობდა გენერალი ალკანტარა. ჰფიქრობენ, ამ გამარჯვების წყალობით, მათოსის მეთაურობით აჯანყებულთა მოძრაობას სრულებით ბოლო მოეღება.

ტანჟერი. „ჰავასის სააგენტოს" ცნობებით, გასულ ღამეს ესპანიის ელჩთან განსაკუთრებული შიკრიკი მოვიდა, ამბავი მოიტანა, ტახტის მაძიებელი დაატყვევესო. მულაი-არაფა ტანჟერიდან რიფესაკენ წავიდა ჯარებით.

მენტონა. კრონპრინცესა საქსონიისა და ჟირონი ჟენევას წავიდნენ.

სოსნოვიცი. პარასკევს პეტროკოვსკის გუბერნატორი თვითონ გაჰხსნის სოსნოვიცის მაგისტრატის მოქმედებას.

ხარკოვი. დილის სხდომაზე პალატამ ბანკის საქმის შესახებ მხოლოდ გამამტყუნებელ ოქმის წაკითხვა მოასწრო.

ტამბოვი. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლობაზე პირველ კანდიდატად 139 ხმით წინააღმდეგ 10-ისა მეხუთედ აირჩიეს სამის წლით თავადი ჩელოკაევი. ცნობილი საოპერო მომღერალი ხახლოვი სპასკის მაზრის წინამძღოლად აირჩიეს.

23 იანვარი

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტ."-ში დაბეჭდილი იყო რუსეთის სააგენტოს დეპეშა მიტავიდან, რომ იქ ძლიერ ნაკლებობაა პურისა და ბალტიის მხარის ზოგიერთ ადგილებში მოუსავლობის გამო ხალხი იმდენად შევიწროებულია, რომ საჭირო შეიქმნა შემწეობათა მოგროვებაო. იმავე დეპეშაში ამასთანავე ნათქვამი იყო: „ადმინისტრაცია მოწადინებულია შეიძინოს თესლი და ხალხს დაურიგოს". მაგრამ იმ მხრის სამ გუბერნიიდან მხოლოდ ესტლიანდიისა და ლიფლიანდიის გუბერნიებში იყო ნაკლები პურის მოსავალი; შინაგან საქმეთა სამინისტროს მარტო ლიფლიანდიის გუბერნიიდან მოუვიდა ცნობები იმის შესახებ, რომ ხალხს დახმარება სჭირიაო. საგუბერნიო მთავრობის ცნობებით, ხსენებულ გუბერნიის მცხოვრებთ მარტო სათესლედ დასჭირდებათ 750000 ფუთი ხორბალი. ამათგან საკუთრივ გლეხებს დასჭირდებათ 480,000 ფუთი; ადგილობრივ გუბერნატორის, გენერალ-ლეიტენანტის პაშკოვის შუამდგომლობით 1000 ვაგონი შვრია და ქერი ფას-დაკლებით გადაიზიდება რკინის გზით; საჭირო ხორბალს უკვე ყიდულობს ლიფლიანდიის საეკონომიო საზოგადოება. კანონის ძალით, ხალხის საზრდოსათვის დანიშნულია ადგილობრივი საგლეხო სათადარიგო თანხა, რომელიც 1902 წლის იანვარს უდრიდა ფულად 6.200,000 მანათს, ხოლო ხორბალი ჰქონდათ 3 მილიონი ფუთი. მცხოვრებთა რიცხვი-კი 1,786,509. ეს თანხა სრულიად საკმარისია აღნიშნულ გუბერნიების მცხოვრებთა დასახმარებლად.

ვაშინგტონი. გარეშე საქმეთა სენატის კომისიამ მოიწონა კოლუმბიასთან ხელშეკრულობა პანამის არხის გაყვანის შესახებ.

ჟიტომირი. 22 იანვარს უკანასკნელად ჰქონდა სხდომა სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა საგუბერნიო კომიტეტს. სხვათაშორის, მიღებულ იქმნა შემდეგი საყურადღებო რეზოლიუციები: შემოღებულ იქმნას საზოგადო სავალდებულო სწავლება, დაარსდეს, რაც შეიძლება მეტი, საპროფესიონალო სკოლა, მიღებულ იქმნას ყოველგვარი ღონისძიება გლეხთა კულტურისა და ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მოისპოს სერვიტუტები და ადგილმამულის მეტის-მეტი დანაწილება და შემოღებულ იქმნას ერობა.

ხარკოვი. ბანკთა საქმე. მთელი სხდომა მოანდომეს საბრალმდებლო ოქმის კითხვას. ბრალდებულთ თავის თავი არ აღიარეს დამნაშავედ.

ლონდონი. ოფიციალურ ბიულეტენიდან სჩანს, რომ მეფე თან-და-თან უკეთ ხდება.

ჟენევა. საქსონიის კრონპრინცესა და ჟირონი შუადღისას მოვიდნენ. სადგურზე მიეგება მათ ლეოპოლდ ველფლინგი. ჟენევაში ცოტა ხანს დარჩებიან; ამბობენ, კრონპრინცესა შემდეგ მარტო გაემგზავრება ზალცბურგშიო.

პრაგა. თავადი ლოპკოვიცი გარდაიცვალა. თავის მამულ რაუდენეცში.

კონსტანტინეპოლი. იტალიის გემის მეზღვაურნი, რომელიც ავაზაკებმა შეიპყრეს, იპოვეს. გამოძიება სწორად სწარმოებს.

ვენა. იმპერატორი ორის კვირით ბუდაპეშტს წავიდა.

ლონდონი. მოკავშირე სახელმწიფოები არ თხოულობენ, რომ მათი პრეტენზიები განცალკევებულ იქმნან; ისინი თანახმანი არიან, ვენეცუელამ მოაწყოს თავისი საქმეები სხვა სახელმწიფოებთან, იმ პირობით კი, რომ ეს საქმეები არ აურიოს მოკავშირე სახელმწიფოთა პრეტენზიებში. მოკავშირენი ბლოკადას არ მოსპობენ, სანამ ეს მოთხოვნა არ იქმნება ასრულებული.

სოფია. რუმინიის მთავრობამ ნება მისცა ბოლგარელებს, რომელნიც ორის წლის წინად რუმინიიდან განდევნილ იქმნენ მიხალეანუს მოკვლის გამო, ისევ დაბრუნდნენ რუმინიაში.

შინაგან საქმეთა მინისტრი მაკედონიის საზღვარზე წავიდა საქმის ნამდვილ მდგომარეობათა შესატყობად.

---

*) იხ. „სალიტერატურო ქართული" გვ. 30—33.

რედაქტორ-გამომცემელი ლ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 8 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7 /71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.)

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.).; 3 სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით) პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.)

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.)

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 . 28 წ.).

განცხადებანი

ჰყიდი ორ სართულიან

სახლს

ნიკოლაევის ქუჩა, № 68. პირობების გაგება იქვე. (3—1

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის«

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პ. თვეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე. მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ესევე წიგნები იყიდება ქუთაისში, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალლიზენ

რუევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—63)

განცხადება

ვაჭრობა ფართლეულობის საქონლით დაბა ყვირილაში რაფიელ ველესიანისა.

პატივი მაქვს ვაცნობო შორაპნის მაზრის საზოგადოებას, რომ მაღაზია, რომელიც ყვირილის სადგურის პირ-და-პირ მქონდა, გადავიტანე ზედა ხიდის გვერდზედ.

მაღაზიაში იშოვება ყოველ გვარი ახლად მიღებული კარგი საქონელი. იმედი მაქვს, საზოგადოება უყურადღებოდ არ დასტოვებს ოკდა ათის წლის გაცნობილს მაღაზიას. საქონელი იყიდება დაკლებულ ფასად.

შორაპნის მაზრის საზოგადოების პატივის მცემელი **რაფიელ ველესიანი.** (20—5

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

(მუხრანიანთ ქუჩიდან) და

მაღაზია

(სასახლის ქუჩიდან)

ტელეფონი № 741.

გადავიდა ერთ შენობაში „სევერნი ნომრების" ქვეშ, კავკასიის მუზეუმის პირდაპირ (გოლოვინის პროსპექტის ახლო), ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товарищество фармацевтовъ, ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ, Фармацевтика. (0—40)

Дозв. ценз. Тифлисъ, 23 января, 1903 г.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)